საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-412

05/06/2018

ქ. თბილისი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, სოფ. მოლითის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპის“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი (ქვიშა-ხრეშის) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფ. მოლითის მიმდებარე ტერიტორიაზე ინერტული მასალების გადამამუშავებელი (ქვიშა-ხრეშის) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამეწარმეო დანიშნულებით. ტერიტორია დაფარულია მყარი საფარით, რის გამოც ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორია უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 267 მ-ით, ხოლო მდ. ჩხირიმელადან დაცილებულია დაახლოებით 50 მ- ით.

ინერტული მასალების გადამუშავება მოხდება ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი-დანადგარით ჰორიზონტალური სამსხვრეველათი 120 ტ/სთ წარმადობით. განხორციელდება სველი მასალის ორჯერადი მსხვრევა. დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს წელიწადში 360 000 ტ. ინერტული მასალის გადამუშავებას.

ინერტული მასალების რეცხვისას და სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარში სველი წესით მსხვრევისას ადგილი ექნება საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. აღნიშნული შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული წყალი, რომელიც წარმოიქმნება ინერტული მასალების რეცხვის შედეგად მოგროვდება ჰორიზონტალურ ოთხკამერიან სალექარში. რაც შეეხება სანიაღვრე ჩამდინარე წყლებს, მათი შეკრება მოხდება ტერიტორიაზე მოწყობილი შემკრები არხებით, რომლებიც შეგროვდება სალექარში. სალექარის პარამეტრები და მათში არსებული დაწმენდილი წყლის რაოდენობა საშუალებას იძლევა მოხდეს მისი ხელმეორედ გამოყენება საწარმოო მიზნებისათვის, ამიტომ ზედაპირული წყლის ობიექტებში წყლის ჩაშვება მოხდება , მხოლოდ წყლის ჭარბი რაოდენობის წარმოქმნის შემთხვევაში, რაც სავარაუდოდ იქნება წლიურად 50000 დან 100000 $მ^3$ მდე. საწარმოს მიერ გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება მდ. ჩხირიმელაში. წარმოების პროცესისათვის საჭირო წყლის აღება მოხდება მდ. ჩხირიმელადან.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების შესაგროვებლად მოეწყობა წყალგაუმტარი ორმო, ორმოდან წყლის გატანა და ჩაშვება მოხდება შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და ინერტული ნარჩენების შეგროვდება ცალ-ცალკე. საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა. წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამისი ნორმებით მოწყობილ სათავსოში, რომელიც აღდგენის ან განთავსების მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა, შესაბამისი უფლება-მოსილების მქონე ორგანიზაციას.

საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება, რასაც გამოიწვევს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში ჩართული მანქანა-დანადგარები.

საქმიანობის განხორცილების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. რაც შეეხება ავარიულ სიტუაციებსა და კატასტროფებს, საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ავარიები და კატასტროფები მოსალოდნელი არ არის.

ტერიტორიაზე არ არის მცენარეული საფარი. პროექტის განხორციელების შემთხვევაში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი (ქვიშა-ხრეშის) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი